საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1559 2024 წლის 1 ნოემბერი ქ. თბილისი

„მუნიციპალიტეტებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №268 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №268 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერიდან, დროებითი ფინანსური დახმარების სახით, არაუმეტეს 14 300 000 (თოთხმეტი მილიონ სამასი ათასი) ლარისა გამოუყოს შემდეგ მუნიციპალიტეტებს:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარისა;

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარისა;

დ) გარდაბნის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარისა;

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

ვ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ზ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

თ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა.".

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე